საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 6 21 0000502759

31/05/2021

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს

გაცნობებთ, რომ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მხარდაჭერით, ევროკავშირის პროექტის – „EU4Environment“ პროექტის განმახორციელებელია. გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა აქტიურად თანამშრომლობს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან EU4Environment პროექტის ფარგლებში საქართველოში მდგრადი საჯარო შესყიდვებისა და დამატებითი ინსტრუმენტების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. პროექტის ფარგლებში მომზადდა მწვანე ეკონომიკის ქართულენოვანი ელექტრონული კურსი და მსურველებს/დაინტერესებულ პირებს სახლიდან გაუსვლელად ვთავაზობთ მსოფლიოს წამყვანი საგანმანათლებლო პლატფორმის მწვანე ეკონომიკის სასერტიფიკატო კურსს.
https://unccelearn.org/course/view.php?id=123&page=overview

საერთაშორისო პლატფორმაზე განთავსებულია მწვანე ეკონომიკის 5 მოდული (ქართულ ენაზე), სადაც მკაფიო, მოკლე ინფორმაცია ხელმისაწვდომია როგორც დაინტერესებული მოქალაქეებისთვის, სამინისტროების, ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებისთვის და კერძო სექტორისთვის, ასევე გარემოსდაცვითი მმართველების, უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგების, მკვლევარებისა და სტუდენტებისთვის. კურსი თვითრეგულირებადი და მოდელირებადია, რაც გულისხმობს მსმენელის მიერ სასურველი მოდულის პრიორიტეტის მიხედვით ინდივიდუალურად შერჩევას. ელექტრონული კურსი მოიცავს ინტერაქტიულ გაკვეთილებს, ქვიზებსა და კითხვარებს, რისი წარმატებით დახურვის შემთხვევაში მონაწილე მიიღებს დასრულების სერტიფიკატს. მსოფლიოს წამყვანი საგანმანათლებლო პლატფორმის მწვანე ეკონომიკის სასერტიფიკატო კურსი არის უფასო. ევროკავშირის მწვანე კვირეულის ფარგლებში, სასერტიფიკატო კურსზე მსურველთა რეგისტრაცია შესაძლებელია 27 მაისიდან.

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32) 2 200 220

მწვანე ეკონომიკის ონლაინ სასერტიფიკატო კურსის შესახებ ინფორმაციის ფართოდ გავრცელების მიზნით, გთხოვთ, თქვენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გაავრცელოთ ინფორმაცია ზემოაღნიშნული ონლაინ კურსის შესახებ და უზრუნველყოთ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული პირებისათვის.

დეტალური ინფორმაცია კურსის სტრუქტურისა და შინაარსის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ელექტრონულ ბმულზე : https://unccelearn.org/course/view.php?id=123&page=overview

დამატებითი ინფორმაციისთვის საკონტაქტო პირია მეგი შუბალიძე - გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრის სპეციალისტი და პროექტის კოორდინატორი (მობ.: 577 103 330; ელ-ფოსტა: megi.shubalidze@eiec.gov.ge.)

პატივისცემით,

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების
განვითარების დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
წერეთელი ნინო